

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხი

ნუკრი დიასამიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუკრი დიასამიძე

2019 წელი

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხს. ნაშრომში განხილულია დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: დანაშაულის მომზადების დასჯაობასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, მცდელობა უვარგის ობიექტზე და უვარგისი საშუალებით, ასევე კვლევა ეხება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის მცდელობის პრობლემას სისხლის სამართალში. ნაშრომში ამომწურავადაა განხილული დანაშაულში თანამონაწილეობის მცდელობა სისხლის სამართალში, სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულის დროს და ასევე შესწავლილია სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს სად გადის ზღვარი მომზადებასა და მცდელობას შორის. ასევე კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა შესაძლებელია თუ არა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობა. ნაშრომის მიზანია პასუხი გაეცეს დაუმთავრებელი დანაშაულისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების ურთიერთმიმართების პრობლემას. კვლევის მიზანია, ასევე დაუმთავრებელ დანაშაულებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები: აღწერითი, სისტემური, ისტორიული, დოქტრინალური, შედარებით-სამართლებრივი და ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

კვლევამ აჩვენა, რომ არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობა სისხლის სამართლის კოდექსის დღევანდელი რედაქციით გამორიცხულია. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ არაპირდაპირი განზრახვის დეფინიცია და მცდელობის დისპოზიცია ქმნის სამართლებრივ საფუძველს დაუშვებლად მივიჩნიოთ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა. მცდელობისა და მომზადების ურთიერთგამიჯვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა განზრახვის აღსრულების

ინტენსივობას ენიჭება. რაც შეეხება მცდელობას უვარგის ობიექტზე საკითხი დუალისტური თეორიის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

ვფიქრობ, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი გამოადგება ამ საკითხით დაინტერესებულ სტუდენტებსა და პრაქტიკოს იურისტებს. ნაშრომში განვითარებული მოსაზრებები და დასკვნები საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაეცნონ, როგორც თეორიულ საწყისებს ასევე სასამართლო პრაქტიკაც დაუმთავრებელ დანაშაულებთან დაკავშირებით.

იმ კვლევების გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: სისხლის სამართალში დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები მეცნიერებს შორის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

საძიებო სიტყვები: დაუმთავრებელი დანაშაული, მცდელობა, მომზადება, ნებაყოფლობით ხელის აღება, სასჯელი, უვარგისი საშუალება, არაპირდაპირი განზრახვა.

Abstract

This Master thesis is dedicated to the issue of punishment of an unfinished crime. In the work the following important topics are discussed: to judge legal problems connected with preparing a crime, an attempt on the wretched object with the worst opportunity. The research is also about the problem of the committed crime attempt in the criminal law. The attempt of participation in the criminal law, definition of punishment in the case of unfinished crime is fully discussed, law practice is also studied.

The purpose of the thesis is to portray the line between preparation and attempt to identify the possibility of a crime attempt through indirect intention, to solve the problem of relationship of an unfinished crime and voluntary decision of committing a crime. The research also analyses the law practice connected with an unfinished crime.

The work comprises the following research methods: descriptive, system, historic-doctrinal, comparative-legal and the law practice analysis.

The research showed that the attempt of committing a crime according to the present day criminal law code is excluded. It is based on the fact, that the definition of indirect intention and attempt disposition makes legal basis to consider indirect attempt unacceptable. While interrogation of an attempt and preparation decisive importance is given to the intensive to fulfill the purpose. As for the attempt on the wretched object, the issue must be solved according to the dualistic theory.

I think the forward Master thesis will be useful for interested with this issue students and practicing lawyers. Opinions and conclusion in the thesis will enable students to learn the theoretical basics as well as law practice connected with unfinished crime.

Gleaning the research which was held within the mentioned above Master thesis, the following conclusion can be made: in criminal law the issues connected with unfinished crime is the cause of different ideas among scientists.

Search terms: unfinished crime, to prepare, Attempt of crime, indirect intention, the attempt of participation.